მაუწყებლობის თვითრეგულირება: კანონმდებლობა და პრაქტიკა

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია

თბილისი 2014 წელი, თებერვალი

კვლევის ობიექტები- ეროვნული მაუწყებლები - საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „იმედი“, ადგილობრივი მაუწყებლები - „მაესტრო“, „კავკასია“

კვლევის მიზანი- შევისწავლოთ, რამდენად მუშაობს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თვითრეგულირების მექანიზმები პრაქტიკაში და რამდენად ეფექტურია არსებული კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით.

კანონმდებლობის მიმოხილვა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიმუშავა მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. ამ კოდექსით და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლით, მაუწყებლებზე მომხმარებელთა საჩივრების ეფექტიანი განხილვის მექანიზმების შექმნის ვალდებულება ვრცელდება. გარდა ამისა, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლი მაუწყებლებს ჯეროვან სიზუსტეს, შესწორებასა და უარყოფას ავალდებულებს, რომლის შესახებაც ასევე გაწერილია კოდექსში.

რეგულაციების მიმოხილვა („მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“)

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მეორე თავში გაწერილია ის რეგულაციები, რომლითაც მაუწყებელში შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმები უნდა მოქმედებდეს. კოდექსი 2009 წელს შეიქმნა, თვითრეგულირების მექანიზმის შექმნა კი საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მაუწყებლებს, რომლებიც ყველა სამაუწყებლო ზონას ფარავენ (ეროვნული მაუწყებლები) 6 თვის ვადაში დაევალდებულათ. დანარჩენ მაუწყებლებზე ეს რეგულაციები 1 წლის ვადაში ამოქმედდა.

ამ რეგულაციებით, დაინტერესებულ პირს შეუძლია ეთერში გასული უზუსტობიდან 10 დღის ვადაში, მაუწყებელს მოსთხოვოს მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება, ან უარყოფა. მოთხოვნის განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს პროგრამის დასახელება, ეთერში გაშვების თარიღი და კოდექსის ის მუხლები, რომლებიც დაარღვია მაუწყებლმა.

მაუწყებელში შესული საჩივრები მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმმა უნდა განიხილოს. ამ მექანიზმის შექმნას მაუწყებლებს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ავალდებულებს. თვითრეგულირების მექანიზმმა მაუწყებელში შესულ საჩივრებზე გამჭვირვალე, დროული და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა უნდა შეძლოს.

აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმისთვის მიმართვა მხოლოდ „დაინტერესებულ პირს“ შეუძლია. საქართველოს კანონმდებლობა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ამ ცნებაში მხოლოდ იმ ადამიანებს, ან ადამიანთა ჯგუფს მოიაზრებს, რომლებზეც კონკრეტულმა ქმედებამ პირდაპირი, ან ირიბი გავლენა იქონია. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითრეგულირების მექანიზმში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ მაუწყებლის სააპელაციო კომისიაშია შესაძლებელი. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოში და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში არ საჩივრდება.

საჩივრები მაუწყებლებმა 21 დღის ვადაში უნდა განიხილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულნი არიან დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და ამის შესახებ აცნობონ ყველა დაინტერესებულ პირს. მაუწყებლის თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუწყებელი, ან მათი გაერთიანება.

სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ - საჯარო მოხელეები, ან პოლიტიკური პარტიის წევრები - სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით. დაინტერესებულმა პირმა კი, შეიძლება მოითხოვოს სააპელაციო ორგანოს წევრის აცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველზე. გადაწყვეტილება სააპელაციო ორგანოს წევრის აცილების შესახებ მიიღება სააპელაციო ორგანოს მიერ ხმათა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. მათ გადაწყვეტილება 30 დღის ვადაში უნდა მიიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვადის გაზრდის მიზეზი უნდა დაასაბუთონ.

საჩივრის და სააპელაციო საჩივრის განხილვისას განხილვისას მაუწყებელმა (სააპელაციო ორგანომ) უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დასწრება. საჩივრების განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.

გარდა თვითრეგულირების მექანიზმის არსებობისა მაუწყებლებს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ ანგარიშვალდებულებაც აქვთ. მაუწყებლები წელიწადში ერთხელ ატარებენ თვითრეგულირების სისტემის აუდიტს და კომისიას ყოველწლიურად საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 1 მაისამდე წარუდგენენ დეტალურ ანგარიშს. ამ ანგარიშში თვითრეგულირების მექანიზმში შესული საჩივრების, განცხადებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ არის ინფორმაცია თავმოყრილი.

მოქმედი კანონმდებლობით, მაუწყებლები ვალდებულნი არიან საჩივრების განხილვის პროცესი გამჭვირვალედ წარმართონ. თუმცა კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ პუნქტებს, რითაც შესაძლებელი იქნება ამ გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე მაუწყებლები თავს არიდებენ საჩივრებთან დაკავშირებით გამჭვირვალობის

ვალდებულების შესრულებას - რამდენი დარღვევა შევიდა, ვინ შეიტანა, რა გადაწყვეტილება მიიღო თვითრეგულირების მექანიზმმა, ან ვინ განიხილავდა საჩივრებს. მათ მხოლოდ კომუნიკაციების კომისიისთვის წარდგენის ვალდებულება აქვთ.

ამ ვალდებულების შესრულება მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს უწევს, რომელიც თავის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირია და კანონი საჯარო ინფორმაციის გაცემას ავალდებულებს.

კანონი მაუწყებლებს არ ავალდებულებს საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნონ ინფორმაცია თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ, ან საკუთარი მედიასაშუალებით აცნობონ საზოგადოებას მსგავსი ორგანოს არსებობის შესახებ. ამ მიზნით შევისწავლე საკვლევი მაუწყებლების ვებ-გვერდები და ეთერი.

მეთოდოლოგია

კვლევისას ვხელმძღვანელობდი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ განსაზღვრული რეგულაციებით - რამდენად გამჭვირვალეა გასაჩივრების პროცედურა (მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მუხლი 7). შევისწავლე მაუწყებელთა ვებ-გვერდები - აქვთ თუ არა თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული და რა სახით. ამასთანავე გამოვიყენე დოკუმენტური კვლევა, გამოვითხოვე ოფიციალური ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული მაუწყებლებიდან.

კვლევის მიგნებები

კვლევის მიმდინარეობისას 5 მაუწყებლიდან თვითრეგულირების მექანიზმის ფუნქციონირებისა და საჩივრების წარმოებასთან დაკავშრებით ინფორმაცია მხოლოდ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გასცა. შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები არასრულფასოვანია და მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს მაუწყებლებში ამ მხრივ არსებულ პრაქტიკას. კვლევის პერიოდში (არსებული ინფორმაციით) მაუწყებლებში სულ 6 საჩივარი შევიდა, აქედან 5 საზოგადოებრივ მაუწყებელში, ერთი კი „იმედში“ („იმედში“ შესული საჩივრის შესახებ მედიის საშუალებით გახდა ცნობილი). აქედან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 1 დააკმაყოფილა, 1-ს ხარვეზები დაუდგინა, დანარჩენი 4 კი არ დააკმაყოფილა. ტელეკომპანია „იმედმა“ საჩივარი დაუშვებლად სცნო.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივ მაუწყებელს ვებ-გვერდზე მხოლოდ სააპელაციო კომისიაზე აქვს ინფორმაცია მითითებული. საზოგადოებრივი მაუწყებლის სააპელაციო კომისია სამეურვეო

საბჭოა. თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ საიტზე მხოლოდ გენერალური დირექტორის დებულება იძებნება, რომლითაც არხზე თვითრეგულირების მექანიზმი უნდა შეიქმნას.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში თვითრეგულირების მექანიზმში შესულ საჩივრებს გენერალური დირექტორის 2010 წლის ბრძანებით განიხილავენ - გენერალური დირექტორის მოადგილეები - პროდიუსინგის, ინფორმაციისა და ადმინისტრაციის დარგებში, ტელევიზიის პროგრამების სამსახურის უფროსი და იურიდიული სამსახურის უფროსი. წარდგენილ ინფორმაციაში მხოლოდ სტატუსებია მითითებული, ვინაობის შესახებ კი ინფორმაცია არ იკითხება.

საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, კვლევის პერიოდში თვითრეგულირების მექანიზმში სულ 5 საჩივარი შევიდა, საიდანაც მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა. ეს საჩივარი მაუწყებელმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა და მისი გადაწყვეტილების ნაწილი არ არის ცნობილი, ერთი საჩივარი კი განუხილველად დატოვა. ეს ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა გასცა.

მაუწყებელმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა მოქალაქეთა გაერთიანების - „ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი. იმის მიუხედავად, რომ საჩივარი თვითრეგულირების მექანიზმში საერთოდ არ იყო განხილული მოქალაქეთა გაერთიანებამ საჩივარი სააპელაციო კომისიის სახელზე დაწერა. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა აღნიშნულ საქმეს პროცედურული დარღვევის გამო ხარვეზი დადგენოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. საქმე ეხებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დამზადებული კლიპების „ოცნება არ მუშაობს“ საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ეთერში განთავსებას, რაც საარჩევნო კანონმდებლობით რეგულირებადი საკითხია.

აღსანიშნავია, რომ განუხილველად საჩივარიც სააპელაციო კომისიის სახელზეა დაწერილი. განუხილველი დარჩა არასამთავრობო ორგანიზაცია „კლუბი თავისუფალი ზონისა“ და საზოგადოებრივი კავშირის „დროას“ საჩივარი. მათ განცხადების პროცედურების დარღვევით შევსებასთან დაკავშირებით ეუწყათ, მაგრამ არ სცადეს ხარვეზების გამოსწორება. ორგანიზაციები მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ ეთერში ჟურნალისტმა კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე ისინი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გააიგივა.

კიდევ ერთი საჩივარი მოქალაქეთა ერთ-ერთმა გაერთიანებამ (სახელი დაშტრიხულია) შეიტანა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე სატელევიზიო არხზე, „ტელეკომპანია პიკის“ ეთერში საინფორმაციო პროგრამების შეწყვეტით ირღვეოდა

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონი. თვითრეგულირების მექანიზმის განმარტებით, მაუწყებელი სხვა სატელევიზიო არხების საშუალებით ასრულებდა მისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამ მიზეზით მოქალაქეთა ჯგუფის საჩივარი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული სარჩელიც სცილდება ქცევის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას.

არ დაკმაყოფილდა „ევრაზიის ინსტიტუტის“ საჩივარი, რომელსაც მიაჩნდა, რომ გადაცემა „აქცენტებში“ გადაცემის წამყვანმა მათი განცხადების ტექსტი დამახინჯებულად წაიკითხა. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, გადაცემაში დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები - მაყურებლისთვის ახალ ამბებში ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით მიწოდება. თვითრეგულირების მექანიზმის განმარტებით, „აქცენტები“ არ არის საინფორმაციო პროგრამა და შესაბამისად მის ეთერში ვერ დაირღვეოდა კოდექსით გათვალისწინებული ეს მუხლები. თუმცა, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებში პროფესიული სტანდარტების დაცვის საკითხებსაც არეგულირებს და აქედან გამომდინარე, მაუწყებელს უნდა ემსჯელა კოდექსთან შესაბამისობის საკითხზე.

ერთ-ერთი საჩივარი საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ შეიტანა. ქარტია მიიჩნევდა, რომ საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ არ მოხდა ახალი ამბებისა და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით მიწოდება, პროგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო დაბალანსებული - ჟურნალისტმა არ სცადა საწინააღმდეგო მოსაზრების მოძიება. საქმე ეხება საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ 20 საათიან გამოშვებაში გასულ სიუჟეტს - „ჩხრეკა გორში“. აღნიშნულ სიუჟეტში ჟურნალისტი დაზარალებული მხარის მიერ მიწოდებულ ინფრომაციას დაეყრდნო. ქარტიის აზრით, ჟურნალისტმა არ სცადა ინფორმაციის გადამოწმება. არც ეს საჩივარი დაკმაყოფილდა, თვითრეგულირების მექანიზმი აღნიშნავდა, რომ ჟურნალისტმა სცადა მეორე მხარის კომენტარის მოპოვება, მაგრამ მათგან უარი მიიღო. გარდა ამისა, იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც მასალაში იყო გამოყენებული, ჩანდა ის მდგომარეობა, რაზეც სიუჟეტი იყო აგებული, ჟურნალისტს კი საკუთარი შეფასებები არ გამოუთქვამს.

დაუკმაყოფილებლად დატოვებულ ყველა საჩივარში თვითრეგულირების მექანიზმს მითითებული ჰქონდა, რომ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იყო.

„რუსთავი 2“

არხის ვებ-გვერდზე თვითრეგულირების მექანიზმის არსებობის შესახებ მწირი ინფორმაცია იძებნება. არხს არ აქვს გამოქვეყნებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსი და იმ პირების ჩამონათვალი ვინც დაინტერესებულ პირთა საჩივრები უნდა განიხილოს.

კომისიისთვის 2010 წელს წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, „რუსთავი 2“-ში შესულ საჩივრებს განიხილავენ - არხის აღმასრულებელი დირექტორი, ტელეკომპანიის იურისტი და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი. კომისიის წევრების, კონკრეტული ადამიანების სახელი და გვარი მითითებული არ არის სააპელაციო კომისიის წევრები კი არიან - პროფესიით იურისტი ქეთევან ქვარცხავა, ექიმი - ნინო ჯორჯაძე და სპორტსმენი ნუკრი ხვედელიძე.

ტელეკომპანიის იურისტებმა არხის თვთრეგულირების მექანიზმში შესული საჩივრების შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდეს.

„იმედი“

ამ არხის ვებ-გვერდზე თვითრეგულირების მექანიზმის არსებობის შესახებ მაყურებელი ინფორმაციას ვერ მიიღებს. კომისიისთვის წარდგენილი, 2009 წლის ინფორმაციით, ტელეკომპანია „იმედში“ შესულ საჩივრებს განიხილავენ - ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი - პ. აბათაძე, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - გ. ლომინაძე და იურიდიული სამსახურის უფროსი - გ. გიორგაძე. სააპელაციო კომისიის წევრები კი არიან - გენერალური დირექტორი - ბ. ბარათაშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე - ვ. ნიკოლავა და გენერალური დირექტორის მოადგილე საინფორმაციო დარგში - ა. ფარულავა. კომისიისთვის წარდგენილ დოკუმენტში არცერთი მათგანის სახელი არ არის მითითებული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არხზე ზემოთ აღნიშნული პირები აღარ მუშაობენ აღმოჩნდება, რომ ტელეკომპანიას კომისიისთვის თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ განახლებული ინფორმაცია არ მიუწოდებია.

გარდა ამისა, არხი უარს ამბობს თვითრეგულირების მექანიზმში შესული დარღვევების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაზე. ამის მიუხედავად, მედიით ცნობილი გახდა, რომ გასულ (2013) წელს ტელეკომპანიის თვითრეგულირების მექანიზმს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიმართეს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გადაცემა „მთავარი ფაქტორის“ ერთ-ერთმა წამყვანმა არ გაითვალისწინა საზოგადოების ერთ-ერთი ჯგუფის ინტერესები და ისინი „ჰომიკებად“ მოიხსენია. მომჩივანები მიიჩნევდნენ, რომ გადაცემაში დაირღვა ერთ-ერთი სოციალური ჯგუფის ინტერესები.

ტელეკომპანიის თვითრეგულირების მექანიზმმა თავდაპირველად ეს საქმე მიიღო, განიხილა და არ დააკმაყოფილა. გასაჩივრების შემდეგ სააპელაციო კომისიამ მიიჩნია, რომ ეს საქმე თვითრეგულირების მექანიზმს საერთოდ არ უნდა განეხილა და დაუშვებლად სცნო, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელები „დაინტერესებულ პირს“ არ წარმოადგენდნენ.

„მაესტრო“

არც „მაესტროს“ ვებ-გვერდზე იძებნება თვითრეგულირების მექანიზმის არსებობის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის მიღება იმ პირების შესახებ, რომლებითაც ეს ორგანოა დაკომპლექტებული მხოლოდ კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან არის შესაძლებელი.

კომისიაში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საჩივრების განმხილველი კომისიის წევრები არიან - მ. ღლონტი, ნ. ჟიჟილაშვილი, ტ. კიკაბიძე. კომისიისთვის წარდგენილ დოკუმენტებში კომისიის წევრების არც სახელებია მითითებული და არც თანამდებობები. სააპელაციო კომისიის წევრები კი არიან - პროფესიით დრამატურგი ვასილ ჯანიკაშვილი, პროდიუსერი - გიორგი ასანაშვილი, რადიო წამყვანი გიორგი კობახიძე, ეკონომისტი ვიქტორ წილოსანი და იურისტი ნინო ელოშვილი.

როდის განაახლა „მაესტრომ“ კომისიაში თვითრეგულირების მექანიზმზე ინფორმაცია ამის დადგენა შეუძლებელია - ტელეკომპანიის მიერ წარდგენილ ინფორმაციაზე თარიღი არ არის მითითებული.

„კავკასია“

საჩივრებს ტელეკომპანია „კავკასიაში“ - ნინო ჯანგირაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი და თეა ინასარიძე განიხილავენ. სააპელაციო კომისიის წევრები კი არიან - მანონი კარტოზია, კახა კახიშვილი და გიორგი ქართველიშვილი. კომისიაში წარდგენილ დოკუმენტში მათი სტატუსი არ არის მითითებული. არც ამ არხის ვებ-გვერდზე იძებნება თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია, ტელევიზიაში კი ინფორმაციის გაცემაზე უარს ამბობენ.

მხოლოდ „კავკასიამ“ მიაწოდა კომისიას თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ განახლებული ინფორმაცია. „კავკასიამ“ ეს ინფორმაცია კომისიას გასულ წელს წარუდგინა.

მიგნებები

- საჩივრების მწირი რაოდენობა და ის ფაქტი, რომ მაუწყებლები არ აწვდიან მომხმარებლებს ინფორმაციას გასაჩივრების მექანიზმებისა და ქცევის კოდექსის დებულებების შესახებ, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია მაუწყებლებში არსებული თვითრეგულირების მექანიზმის არსებობის შესახებ.

- მაუწყებლები არ გრძნობენ ანგარიშვალდებულებას მაყურებლების მიმართ და ფორმალურად იცავენ კანონით ნაკისრ ვალდებულებებს.

- კომუნიკაციების კომისია ვერ იღებს განახლებულ ინფორმაციას თვითრეგულირების მექანიზმის (კომისიისა და სააპელაციო ორგანოს წევრების) შესახებ და ეფექტურად არ უწვეს ზედამხედველობას კანონმდებლობით განსაზღვრული ამ ვალდებულების შესრულებას.

- მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმში საჩივრების შემტანები უმრავლეს შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. თუმცა, მათი მცდელობები მეტწილად უშედეგოა, რადგან, „დაინტერესებული პირის“ ცნება მაუწყებლებს საშუალებას აძლევს, კონკრეტული საქმეები განუხილველად დატოვონ.

რეკომენდაციები

- აუცილებელია დეტალურად გაიწეროს, როგორ უნდა მოახდინონ მაუწყებლებმა თვითრეგულირების მექანიზმში შესული საჩივრების გამჭვირვალედ განხილვა.

- გაფართოვდეს „დაინტერესებული პირის“ ცნება.

- მაუწყებლებს დაევალოთ საკუთარი ეთერისა და ვებ-გვერდის საშუალებით მაყურებელსა და მსმენელს თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ.

- კომუნიკაციების კომისიას დაევალოს თავად შეამოწმოს რამდენად სრულყოფილია და ახალი, მაუწყებლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია.